№ 156

სამშაბათი, 25 ივლისი 1895

1877—1895

# ივერია

№ 156

სამშაბათი, 25 ივლისი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## განცხადება ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისა.

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ ორმოცდა-ცამეტი (53) ვაკანსია: პირველი განყოფილებაში 36, (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), მეორე განყოფილებაში 11, (8 და 9 წლის ყმაწვილებისათვის), მესამე განყოფილებაში 1 (9 და 10 წლის ყმაწვილ.) და მეოთხეში 5 (10 და 11 წლის ყმაწვ.). პროგიმნაზიულ კლასებში არც ერთი არ არის თავისუფალი ადგილი.

2) 53 ვაკანსიისაგან 49 არის დანიშნული გარედან მოსიარულეებისათვის და ოთხი (4) პანსიონში ტფილისის გუბერნიის ღარიბ თავად-აზნაურთა შვილებისათვის. ამ ოთხს ვაკანსიაში სამი (3) არის საზოგადოების ნახევარ ხარჯზედ და ერთი (1) სრულ ხარჯზედ.

3) ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზედ იქნება მიღებული, იმას არავითარი ხარჯი არ მოეთხოვება სწავლა-აღზრდისათვის; ხოლო მათ, რომელნიც მიღებულნი იქმნებიან საზოგადოების ნახევარ ხარჯზედ, უნდა შემოიტანონ წელიწადში ათი თუმანი—ნახევარი შემოსვლისათანავე და ნახევარი იანვარში.

გარედან მოსიარულეს გარდახდება წელიწადში სწავლის ფასი თორმეტი მანეთი, ექვსი ენკენისთვეში და ექვსი იანვარში.

4) ვისაც ჰსურს, მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი დოკუმენტები:

ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკიდგან, რომ იგი ირიცხება ხსენებულის ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც ნახევარს ხარჯზედ ჰსურს შემოსვლა, ან გარედ მოსიარულედ, მისთვის საჭიროა იგივე დოკუმენტები, თვინიერ ბანკის მოწმობისა. გარედგან მოსიარულეთათვის აუცილებლად საჭიროა წლოვანობის მოწმობა და ყვავილის აცრისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი მიშვებულ იქმნებიან წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო დოკუმენტებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისთვის.

7) ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი-კი ბევრი, სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქმნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფულია დარჩენილი, იმისთვის რომ ადგილი დაუცალოს ახლად შემოსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა სთხოვს მშობლებს, რომელთაც სრულად არა აქვთ შემოტანილი სწავლა-აღზრდის ფასი, რომ უთუოდ შემოიტანონ პირველის ენკენისთვისათვის, რაც არის მათზე დარჩენილი, თორემ მათი შვილები დათხოვნილ იქმნებიან პანსიონიდგან.

8) შესაძლოა მარიამობის თვეში, მოწაფების ხელ მეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარს ხარჯზედ ისურვებს პანსიონში შემოსვლას ან ნახევარს ხარჯზე. ვინც საკუთარს ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი, ათი შემოსვლისათანავე და ათი იანვარში.

9) თხოვნა უნდა შემოვიდეს მარიამობისთვის 20 რიცხვამდის. ქალაქს გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянскою Школой, на Лабораторной ул., въ д. Гургинбегова.

10) მარიამობისთვის 23, 24 და 25 რიცხვებს მოხდება მისაღები ეგზამენები და ხელ-მეორედ გამოცდა ზოგიერთ მოწაფეებისა. პირველს ენკენისთვეს დაიწყება სწავლა.

დათხოვნილნი იქმნებიან აგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლაში შემოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ $18^{95}/_{96}$ სასწავლო წლის ფულის ნახევარს.

5—)4.

# ახალი ამბავი

—

*** კავკავიდგან იწერებიან: 9 ამ თვეს აქ ჩამოვიდა ბ. რატილი ქართული ხოროთი და უკვე ექვსჯერ გამართა კონცერტი აგარაკის სხვა-და-სხვა ადგილებში. საზოგადოება დიდის სიამოვნებით ისმენს ქართულს სიმღერებს და ბლომადაც ესწრება. ამბობენ, რატილი აქედგან ოდესისაკენ გაემგზავრებაო.

*** გუშინ, 24 ივლისს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში იყო დანიშნული საჯაროდ ვაჭრობა ქალაქის მამულებისა. უნდა გაყიდულიყო სულ 14 მამული; ამათში გაიყიდა 6, დარჩა 8; ამ დარჩენილ მამულებისათვის ხელ-მეორედ იქნება დანიშნული ვაჭრობა 9 აგვისტოს. 26 ამ თვისას, ხვალ, დანიშნულია ვაჭრობა სოფლის მამულებისა.

*** 22 ივლისს, ღამის 11 საათზედ, ამიერ-კავკასიის რკინის გზის საავადმყოფოს ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი ლამპრიდგან გაჩენილიყო ვანნების ოთახში; მალე დააქრეს.

*** 17 ივლისს ავჭალასა და მცხეთის შუა ხიდის ჩატეხის დროს დაკარგული ტეხნიკოსი მიხეილ ბეჩვაია წყალმა გამორიყა ტფილისში, „ნემენცების კალონიასთან“. როგორც სჩანს, საცოდავი წყალს მოუტაცნია.

*** ტფილისის ფერისცვალების მონასტრის ქუჩა მეტად უყურადღებოდ არის დატოვებული. მცხოვრებლებს მოსვენება არა აქვთ უსაქმოდ მოწანწალე ბაზრის ბიჭებისაგან. სალამოდგან დაწყებული გათენებამდე გაისმის ყიჟინა და ყვირილი. ამ უწესრიგობამ კინაღამ იმსხვერპლა წარსულს კვირას ერთი ყმაწვილი.

*** ხევი, სტეფან-წმიდა: წრეულ ჩვენკენ ძლიერ ცივი და ავდრიანი ზაფხულია; გაუწყვეტელმა წვიმებმა ბევრი დააკლო და ბევრიც აზარალა გზაზედ მომუშავე ხალხს. მთელს თვეში ათი დღე არ იქნებოდა დარი. ეს ერთი კვირაა, რაც გამოიდარა და ხალხმაც ცელებსა და ნამგლებს დაუწყო ძებნა სათიბლად. ნახნავ-ნათესი კარგი არის, მხოლოდ ბალახია ნაკლებად.

*** სამტრედია: 22 ივლისს, დილით 2 საათზედ, მატარებელი № 35 მეორეს დაეჯახა. ოთხი ვაგონი დაიმტვრა და ხუთიც დაშავდა.

*** უჯარა: 21 ივლისს, ღამის 11 საათზედ, აქაურ სადგურზედ ლამპიდგან ცეცხლი გაჩნდა, მაგრამ ცეცხლი მალე დააქრეს. არეულობის დროს კასა გაელოთ და 102 მანეთი მოეპარათ.

*** ჩვენ მივიღეთ პოემა „დასჯილი“ იასე რაჭველისა. გამოცემა კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიისა. წიგნი პატარაა, შეიცავს 20 გვერდს და ღირს ერთი შაური.

*** ტფილისისა და სხვა გუბერნატორებს მოსთხოვეს ცნობები, თუ მთელს კავკასიაში რამდენი საეროზო სადარაჯოა, რამდენი კაცია თითოეულზე...

# ფელეტონი

—

## ხალხის ცხოვრებიდგან.

II *)

სხვა დროს დინჯი, უჩუმარი და ღრმად გულ-ჩათხრობილი ალაზანი, თითქოს მთელი ცა-ქვეყნის ოკეანე სიბრძნისა გადუყლაპავს და იმას დაუბრძნებია ყოვლად-მეცნიერ ფილოსოფოსივითო, დღეს საშინლად აღელვებული და აყეფებული მოგრგვინავდა. მისი საზარლად მშფოთარე, გამალებული ზვირთები მრისხანედ ეჯახებოდნენ ერთმანეთს საშინელის ჯგაფა-ჯგუფით, კაცის სიმაღლეთ ისროდნენ ნაძქერს და სიცოფის ბრაზით ქაფ-მოგდებულები ხრიალ-შხუილით მიღრიალებდნენ თავდაღმა კასპის ზღვაში საბინადროდ. ალბად მთაში ნიაღვრები იქნებოდა წუხელ და იმას გაუგიჟებია ცა-მოწმენდილზედ დარბაისელი ალაზანი.

ალაზნის მარჯვნივ, ტურფად დახატულ მწვანე ხავერდის გორაკზედ მენავეები გამომსხდარიყვნენ თავიანთ პაწაწა ქოხის წინ და რაღაც მწარე ფიქრებისაგან გულ-სევდიანად დაღვრემილები მლოცავების ურმებს მოელოდნენ ყალიონის ბოლებით. მენავეების მხარდამხარ სულ-გაცანცული ეკუნტა მურა ძაღლი და ყურებდაცქვეტილი მსუნაგად გაიყურებოდა ზიმზიმა თვალებით ალაზან-გაღმა დაბურულ ჭალისაკენ. უეჭველია, მურაც მგზავრებს ელოდა მოუთმენლად და თან ტკბილს ოცნებას ეძლეოდა: ეგება ღმერთს შეჰხედონ და თითო ლუკმა პური მეც გადმომიგდონ ამ მშიერ გულზეო.

იქვე, ქოხის გვერდით, თვალებაგიზგიზებული შავი კატა ძალზედ გაძგნაბული მიიპარებოდა იმ ბუჩქისაკენ, რომლის ძირშიაც შაშვი ხმელი ფოთლების ჩაჩუნით ჭია-ღუას ეძებდა მიწაში. ბუჩქთან მიახლოების უმალ ჯერ მეხ-დაცემულივით გაწამდა მიწაზედ გართხმული და ცბიერად თვალებ-მოჭუტული კატა, მერე თავ-დაცემის ჟინით ტირიფივით აცახცახდა ყურ-ცქვიტა, ბოლოს ელვის სისწრაფით ისკუპა ვეფხივით—და, რადგანაც მურა ი ეშინოდა არ წამართვასო, საბრალო შაშვი ღიჭნარიან კრიჩხებისაკენ გააქანა დასაკვნეტად გამარჯვების მედიდურობით კუდ-აბზეკილმა ფისუნიამ.

ქოხის მახლობლად, საცაც რამდენიმე გველივით დახლაკნული შარაგზა მიიჭიმებოდა ალაზნის მწვანეხასხასა ტრიალ მინდორზედ, მძიმედ დატვირთული ურემი მიჭრიალდება და მეურმის ტკბილად აღუღუნებულ „ჰოროველადამ“ საამურად გამოისმოდა ერთი-ერთმანეთზედ მოყოლებით შემდეგი მარგალიტები:

„ვისაც მოუკლავს, ის მოჰკლავს
ნადირსა შავის მთისასა,
ვინც ღვთი-შვილია—ის გვეტყვის
ამბავს ქვეყნის და ცისასა!

„ამირან-დევო, დევ-გმირო,
კილო არ იცი ომისა,
ხერხი გაჯობებს ღონესა,
მკლავიც რო გქონდეს ლომისა.

„სხვა დრო დაგვიდგა, ნინიავ,
ჰწავლა ჰჯობია ხმალსაო,
ჰწავლით კეთილად იცხოვრებ,
მტერს დაუყენებ თვალსაო.

„უხერხული გუთნის დედა
მეხრეებს ემუქრებოდა,
ცოტას მხვნელი და მთესველი
გამჩენ ღმერთს ემდურებოდა

„ღმერთო, ცა-ქვეყნის გამჩენო,
ნუ მოგვიშლი შენს იმედსა,
მუშას წელს ნუ ატკივებ,
ფურსა ძუძუს, ხარსა ქედსა.

„შვილო, ვისი გკლავს სურვილი:
ძილს არ გაძინებს მძინარსა,
წავალ და იმას გიპოვნი,
წყალს ჩავუდგები მდინარსა.

„ღმერთო, ნუ მისცემ ვაჟკაცსა
ცოლსა ყბედსა და მძინარსა,
ის შაჰშლის, ის დააბერებს,
ის მისცემს წყალსა მდინარსა.

„ავი კაცი რო მოკვდება,
წაახვიევით ტილოსა,
საფლავში პირქვე ჩააგდეთ:
ემანდ ეგდე-თქო, შვილოსა,
ვინც იმას შანდობა უთხრას
—უფალმა შეარცხვინოსა“.

ურემი კარგა გაჰშორდა ქოხს და გარკვევით აღარ მოისმოდა, რას ღუღუნებდა მეურმე. ამ დროს ერთი ვიღაც შეთოფ-იარაღებული ვაჟარი გამალებულად მააიორღებდა რაშივით წითელ ცხენს და ცისაც გამხვრეტის გაკივილით შემოსძახოდა „შიქასტის“ ხმაზე: „სოფელი ვნახე უძაღლო, ვწველე, ვკრიჭე და ვყვლიფეო; უგროშფულო ბემურაზმა სიმდიდრე შევიკრიფეო!“ და ამასობაში ისე შორს გააფრინა „გაფრინებულმა რაშმა“, რო ბუზის ტოლად-ღა მოსჩანდა თვალ-უწვდომ ალაზნის ტრიალ მინდორზე.

რამდენიმე წუთის შემდეგ, იმავ შარა-გზაზედ მხარზედ ცულ-გადებული ოც-და-ათამდე კაცი გუგუნ გრიალით მოიმღეროდა: „მუმლი მუხასაო, გარს ეხვეოდაო, ვერას აკლებდაო, მუმლი სწყდებოდაო, მუმლი ქრებოდაო, ხე არ ხმებოდაო, ნედლი რჩებოდაო“.

— არ დაიჯერებთ, ქვემო-ყურეში მიდიან, იგულთმისნა ქოხის წინ მხართეძოზედ წამოწოლილმა მენავემ.

— ხე-ტყე, იარაღი ენდომებათ, გამოეძრახა მეორე მენავე.

— ეეე, რა ყოფითა მღერიან მა ბებრუცანა სიმღერაჰ, „მუმლი მუხასაო“. ჩემა ლალებმა, სსვა აღარა იციან-რა!..

— ერთხელ მეც ემაგრე დავცინოდი მა ძველი-ძველ სიმღერაჰ, მაგრამ იცი, კაცო, რა მითხრა ერთმა ნაჰწავლმა: ეგ ლესკი იმას ამბობსო, რომ როგორც მუმლი მუხაჰ გარს ეხვევა და ვერას აკლებს, იგრეც ურჯულოჰ უთვალავი ჯარ-ლაშქარი ეხვეოდა საქართველოს და ვერას აკლებდაო. ვერც არავინ რაჰ დააკლებს და თავი რჯულზედვე დარჩება უკუნითი უკუნისამდეო. მა დღი შამდეგ იგრე შამიყვარდა „მუმლი მუხასაო“, რო აბა რაღა გითხრა.

— ბიჭოს! არ დაიჯერებთ, კაცებო, თქვენ გამარჯობას, მართლა მაგრე იქნება!

— ეგრე იქნება, კაცო, მა როგო იქნება. მა იმითანა მწავლული კაცი ტყუილს იტყოდა-რა. ან რა იჰ გვინდა, ჰკვას ახლოც როა.

— აი დიდება შენთვინ უფალო! ე მაგიტოა ჰწავლა კარგი, აი! აბა მე რო თუნდა ათასი წელიწადიც მეფიქრა, ხო თავი დღეშიაც გუმან ვერ მოვიდოდი, თუ მა დახავსებულ ლეს-

---

*) იხ. „ივერია“, № 113.

ულში, რანაირად არიან დანაწილებულნი და რა ჯამაგირს იღებენ აქ მსახურნი. ეს ცნობები უთუოდ საჭირო იმისათვის, რომ გამოირკვეს რანაირად შეიძლება შეიცვალოს კავკასიის საეროზო სადარაჯოებიო, ამბობს გაზეთი „ნოვ. ობოზ.“

---

ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ მქვრივი და შვილები გარდაცვალებულის თ. პ. გ. ნაკაშიძისა გულითადს მადლობას უცხადებენ ნაცნობთა და მეგობართ, რომელთაც წრფელის თანაგრძნობის წერილ ტელეგრამებით ნუგეში სცეს მათ მძიმე მწუხარებაში.

---

## შეცდომის გასწორება.

„ივერიის“ 154 №-ში 2 გვერდზედ 6 ახალ ამბავში დაბეჭდილია შეცდომით: ...რომ ჩვენს დაუცხრომელს მღვდელ-მთავარს.. უნდა იყოს: რომ ჩვენს დაუღალავს ქველმოქმედს მღვდელ-მთავარს.

---

## კორესპონდენცია.

**ს. კნოლევი,** (გორის მაზრა). ეს ორი წელიწადია, რაც კნოლევსა და მისს მახლობელ სოფლებში დათარეშობს ოსი ფუხაშვილი. ყველას ახსოვს, რომ ამ ორის წლის წინად დაარბია მთელი კნოლევი და ალ. ფალავანდიშვილს (რომლის მოსისხლე მტერია თურმე იგი) კაცებს უგზავნიდა, ამდენი და ამდენი ფული და სხვა რამ გამომიგზავნე, თორემ მოგიხტები და მოგკლავო. მთელმა სოფელმა მაშინ ეს ამბავი ადგილობრივს ადმინისტრაციას აცნობა, რომელმაც ყოველი საშუალება იხმარა, მაგრამ გავარდნილი ყაჩაღი მაინც ვერ დაიჭირეს. ამ გარემოებამ უფრო წააქეზა ფუხაშვილი და მას შემდეგ ეს ორი წელიწადია, ხან ვისა სძარცვამს და ხან ვისა. ფუხაშვილი თურმე ღარიბებს ისე არას აზარალებს, როგორც ამბობენ. მას თურმე კაცები ჰყავს, რომელნიც უზიდავენ: პურს ხორცს სასმელს და სხვასა.

წელს-კი ფუხაშვილმა მეტად გაიდგა ფეხი, ცხრა ამხანაგი იშოვა და დათარეშობს მთელს ზემო-ქართლში. ყველა დიდს შიშში ჰყავს.

აქაურმა ახალმა მამასახლისმა თ. ივ. ფალავნდიშვილმა, გამოსთხოვა ადგილობრივს ბოქაულს ჩაფრები და ყაჩაღებს დევნა დაუწყო. ყაჩაღებმა, რა გაიგეს ეს, თითონვე მივიდნენ მამასახლისთან და დამნაშავედ გამოაცხადეს თავიანთი თავი. არ ვიცით, რამ აიძულა ეს ყაჩაღები ნებაყოფლობით მისულიყვნენ და ეს აშკარაა, რომ 16 ამ თვისას 3 ყაჩაღი თვით მივიდა. მამასახლისმაც ისინი ადგილობრივ ბოქაულთან გაგზავნა. ეს-კი უნდა ვთქვათ, რომ ზემოხსენებულ ყაჩაღთ სთქვეს, ჩვენ ფუხაშვილის ამხანაგები არა ვართო.

საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ უ. მამასახლისმა ივ. ფალავანდიშვილმა, დიდად მეცადინემ ყველა ამგვარს საქმეში, ნათლად გაამართლა საზოგადოების იმედი ნასწავლ მამასახლისებზედ. მისის თაოსნობით გაჰყავთ აქედგან გზა-ტკეცილი რკინის გზის სადგურ გომამდის და ბევრს ამგვარს საკეთილო საქმეებს აკეთებს.

ედილი.

---

## ზედა აჭარის გათათრება

ოსმალთა ბრძანებით ხიმშიაშვილებმა სოფელს ნოგაზეულში ერთი ძველი კოშკი, ციხე ეკკლესიითურთ გადააკეთეს საიდუმლო ქრისტიანების სატანჯავად და დასაპატიმრებლათ. ამ ციხეს იატაკის ქვეშ აქვს რამდენიმე ბნელი ოთახი, რომელსაც არც შესავალი ჰქონდა და არც გასავალი; შიგ საშინელი სიბნელე იყო. იქ მიიყვანდნენ საიდუმლო ქრისტიანებს და ჰკითხავდნენ:

— წმიდა მუსლიმანი ხდები თუ არა, ქრისტიანობაზედ ხელს აიღებ თუ არა, ლოცვებს სტოვებ თუ არა, თუ არა სტოვებ, აი აქ ამ ბნელს ოთახებში უნდა ჩაგაგდოთ, საიდგანაც ვეღარსად გახვალთ და შიგ დაიხოცებით კიდეც; იქ თქვენ საჭმელს არავინ მოგცემთ და სასმელს, იქიდგან თქვენ ვერსად გახვალთ. ვინც თანხმობას ამბობდა, და სამუდამოდ აღიარებდა მუსლიმანებს, იმას ათავისუფლებდნენ და ისე სტოვებდნენ, ვინც უარს — და ის მოჰყვანდათ და იმ ბნელს საშიშარს ოთახებში აგდებდნენ. იქ ესენი შთებოდნენ უწყლოთ, უპუროთ და ასე, ამგვარად სტანჯავდნენ. აქ კაცი რამდენიმე დღეს გასძლებდა მშიერი და ბოლოს ისე მიიხრწნებოდა, რომ შიმშილისაგან დასუსტებულიც მოკვდებოდა; მკვდრები რამდენიმე ხანს ორმოებში ეყარნენ, იქ იხრწნებოდნენ და მათს სხეულს კარგა ხანს აღარ იღებდნენ, რომ ორმოებს მეტად ცუდი სუნი ჰქონოდა, რომ ამითი იქ ჩაყრილნი პატიმარნი დიდად შეწუხებულიყვნენ და ქრისტიანობაზედ უარი ეთქვათ. ამ სოფლის საპატიმროებში ბევრი უბედურება მომხდარა, ბევრი სისხლი დაღვრილა ქართველთა. ამ სამარცხვინო ჩუმი სარჩობელისა და ქართველთა დაღუპვას ნაშთის ნანგრევები დღევანდლამდე ჩანან აქა-იქ. საბნელეთის ოთახების ადგილები და ორმოები-ღა სჩანს.

აქაურნი ხშირად შეირთამდნენ ხოლმე გურულ ქალებს და ოსმალოს მთავრობას ატყუებდნენ, რომ თათრის ქალი შევირთეთო, ამა და ამ ალაგასაო; ხანდისხან ქრისტიან ქალს ხოჯა შეაუღლებდა კაცზედაო, ქალი ჩუმათ ქრისტიანობდა; ეს ამბავი მხოლოდ ქმარმა იცოდა და ქმარსაც მიტომ მოჰყვანდა იქიდგან ქალი, რადგანაც მას ენატრებოდა, რომ ცოლი მაინც ჰყოლოდა ქრისტიანის ქალიო. რაკი აქეთ მონათლული აღარავინ იყო და მოისპო ქრისტიანობა, მაშინ გურიიდგან და ქობულეთიდგან მოჰყვანდათ ქრისტიანი ქალები და ირთავდნენო. მაგრამ მალე ესეც იქმნა ოსმალთათვის ცნობილი და რამდენიმე ხნის შემდეგ ესეც აღკრძალესო. დღესაც თურმე ძალიან ბევრნი არიან აქ ისეთი ქართველი მაჰმადიანები, რომელთა დედისთვის მზითევში მამულები მიუციათ და ეს მამულები დღევანდლამდისაც-კი იმათ შთამომავალთა საკუთრებას შეადგენს.

ვიდრე ეს ხეობა გათათრდებოდა, მინამდის სხალტის ეკკლესიაში გაირჩეოდა ხოლმე ამ მხრის ერის საქმეები. როგორც ბოდბისხევში იცოდნენ, რომ აქ ბოდბის მიტროპოლიტი გაარჩევდა ხოლმე ბოდბის ერის საქმეებს, ისევე აქეთ სხალტის მღვდელ-მთავარნი გაარჩევდნენ ხოლმე.

სხალტაში ორნი ძმანი ყოფილან, ერთი მალე გათათრებულა და ამიტომ ეს სხვა სოფელში გადასახლებულა; ამისთვის თათრულებ ოსმანი უწოდებიათ, მეორე ძმა სხალტაში დარჩენილა ქრისტიანათ. ამ ორ ძმას შუა მამულების შესახებ ჩხუბი და დავიდარაბა ამტყდარა, ამათი საჩივარი გაურჩევია სხალტის უფროს მღვდელ-მთავარს და მომჩივანი დაუშოშმინებია. ამ საქმის გუჯარი ჰქონია სოფ. ხულოს ხოჯა ჰაჯი-ნური-ეფენდი ბერიძეს, ამას ეს გუჯარი სხვისთვის მიუცია და ეს არწმუნებს, რომ ვითომც ის გუჯარი წაიკითხეს, გაარჩიეს და 185 წლისა აღმოჩნდაო.

სოფ. ფურტიოში ზოგიერთ ქართველთ მალე არ მიუღიათ თათრობა, ამათ თავიანთი მღვდელიც ჰყოლიათ. ამ დროს სხალტაში ქრისტიანობა უკვე გამქრალა, სამღვდელონი გაურეკიათ და ეკკლესიაც აუოხრებიათ. რამდენიმე ხნის შემდეგ ფურტიოს ეკკლესიის მღვდელი დაუბარებიათ სხალტაში და ამისთვის ერთი ძველი ქვევრი უჩუქებიათ, რომელ ქვევრშიაც 300 ჩაფი ღვინო ჩადისო. ფურტიოს მღვდელს ამოუღია ქვევრი და წაუღია ფურტიოში და ეს ქვევრი ჩაუდგამს მიწაში სწორედ იმ ალაგას, სადაც „პურის სახლი“, ეწოდება დღესაც. ქვევრი დღევანდლამდე არის დარჩენილი.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება).

---

## მცირე შენიშვნა.

(არხეოლოგთა და ისტორიკოსთა საყურადღებოდ).

ბ-ნ მ. ჯანაშვილის მეორედ გამოცემულს საქართველოს ისტორიაში მოხსენებულია, რომ მეფე არჩილ II-ს გვამი მისმა მეუღლემ დაასაფლავა სოფ. ნოტკორასო (ერწოშია). თიანეთის მაზრის ნაწილს ერწოში ამ სახელწოდების სოფელი აღარ არსებობს, არის სოფელი ნადოკრა. ამ სოფლის სამხრეთის მხარეს ესე 2—3 ვერსზედ მაღლობ და ტყიანს ადგილზედ, ესრედ წოდებულს „სიონ გორა“-ზედ დღესაც არის ძველი ეკკლესია და მეფე არჩილ II სასაფლაო. ეკკლესიას გარშემო შევლებული აქვს გალავანი, რომელიც უეჭველად ღებობით მინგრეულ მონგრეულია. თვით ეკკლესია ორ-ოთახიანი და ორ-სართულიანია. ეკკლესიის სამხრეთის ოთახში მარჯვენა კედელთან არის ტახტივით ამაღლებული ადგილი; ადგილობრივ მცხოვრებთა მოწმობით ეს ადგილია მეფე არჩილ II სასაფლაო. სასაფლაოს ქვა-კი არ მოსჩანს. ეკკლესიის მეორე სართულის იატაკში ორი ქვევრია ჩასმული. ქვევრებს კედლებში დატანებული თიხის მილები დასცქერის. ეტყობა ეს მილები და ქვევრები წვიმის წყლის შესანახად თუ ჰქონდა ხალხს აქ შეხიზვნის დროს. ზედა სართულის სარკმლის თავზედ ქვა მოჩანს; ქვაზედ ზედ-წარწერა წაშლილია.

ხალხის გადმოცემით ეკკლესიის მიდამო და მისს მახლობლად მდებარე მამულები საეკკლესიო ყოფილა და ამ მამულებზე მცხოვრები გლეხები ხარჯს მცხეთის

---

კში მაგითანა ჭკვიანური და სამახსოვრო ფიქრი იქნებოდა, თავის ქნევით წარმოსთქვა მენავემ, რომელმაც წუთის წინად დაცინვით დაუწუნა მგზავრებს „ბებრუცანა“ სიმღერა.

— ჰეე, ჩემო ქრიჰტესიავ, ნეტავი ჩვენ რაც ვიცოდით, ისიც არ დაგვიწყებოდა ამ მეტის-მეტი სიღარიბისაგან, თორე მაგითანა ლესკების გამოცნობა რა ჩვენი ჭკვი საქმეა, მწარე ამოოხვრით წამოიბუტ-ბუტა მწუხრად სახე-დაღვრემილმა მესამე მენავემ, რომელიც აქამდის ხმას არ იღებდა, და ისევ სამარის მზგავსი სიჩუმე ჩამოვარდა იმათ ში, თითქოს სიღარიბის მოგონებაზედ სამთავ პირში ნერწყვი გაუშრათ და ენა დაებათო. სახის გამომეტყველებაზედ აშკარად ეტყობოდათ, რომ ისინიც იმ სულის სავალალო მდგომარეობაში იყვნენ, როდესაც სილატაკის უზომო ჭირ ვარ მით გულ-გაქცეთილ ადამიანს ნაალარ ემორჩილება, ლაპარაკი ჭირივით ეჯავრება და სულის ტანჯვამწუხარებისაგან ძონძივით მოდუნებულს ათასი გამოურკვეველი სევდანაღველი იმონავებს და გულის შხამსიმწარით გონება-დაბნეულს მოწყვეტილ ფოთოლსავით დააკოტრიალებს საკვდილ-მოწყურებულ საოწარკვეთილების უძირო უფსკრულში.

დიაღ, ასეთ ჯოჯოხეთის სატანჯველში იყვნენ ღარიბი მენავენი იმ უმშვენიერეს ადგილას, სადაც მსუქანქასიან მგზავრებს ბევრჯელ უთქვამთ ალტაცებით: სამოთხეში ყოფნას ამ ნატრის ნანატრად დახატულ გორაკზე წამოპოლოოწიკებულ პაწია ქოხმახთან ლხინ-ქეიფი-სჯობიაო. მართლაც-და, ადამიანის თვალ-გულს იტაცებს და ატყვევებს იმ შაქრის თავივით მოყვანილ მწვანე გორაკს ბუჩქნარ-ყვავილოვანი არე მარე თავისს ედემისებური სიტურფით. იმ გორაკიდამ მოსჩანს შორამდის ათასფროვანი ალაზნის ველი, ველი ნაქარგი ტყე ნახნავებით, თვალ გადუწვდენი, ვაკე და ჭალი. იქ ალაზანი ვერცხლის ზოლივით მიიხლაკნება და მიდუდუნებს, ხან ნიაღვრებით გაცოფებული მედგრად ღრიალებს და მიგუგუნებს. ბევრჯელ შავბნელად მოქუშულ ცასა ქექა ქუხილით ცეცხლი უყრია და გულის წყრომა, რისხვა და ბრაზი ღვართქაფის დენით ამოუყრია; მერე კაძკაძა ზურმუხტის ცილამ მზეს ველი გაულაღაბებია, და — გაგიჟებულ ალაზნისათვის ცას დაცინებით უყურებია, როგორც დღეს.

ეხლა-კი მოისმა ბუმბერაზ ქალიდამ ურმების ჭრიალი, შოლტების ტყლაშა-ტყლუში, მამის ძახილი და მეურმეების გულ-დამშაქრავი მოლოდინე ჰოროველა. ცოტა ხანიც — და მოადგა ალაზნის პირს შორით-შორამდე გაბმით დამწკრივებული და მრავალ-სახოვნად აჭრელებული მლოცავების ურმები. „ჰაი, გაგამუდრეგა ღმერთმა, ე გამჩენ-ძაღლი, ეგრე რამ აადიდა და ააზვირთა“! „გატიალდეჰ და გაოხრდეს *) კაი უსარგებლო წყალი ეს არი — ჰაჰა!“. უკმაყოფილოდ წარმოსთქვეს მეურმეებმა და ფონს დაუწყეს თვალიერება. „ნელა უყავით, ბიჭოოო!.. ფონს არ აჰცდეთ, ეჰეეე!..“ ყვიროდნენ უკანა მეურმეები.

შემოაჯგაფუნა ალაზანში ურემმა და მოჰყვნენ სხვებიც მწყობრად. ამძლავრებულმა წყალმა ერთი ღერძჩაუკრავი ურემი ციმციმ ასწია, თვლები გამოაცალა და ჯალაბობა შუა-ალაზანში მოპირქვავდა. „გვიშველეთ!.. გვიშველეთ!..“ შექმეს საზარელი ყვირილი. „მიაყოლე!“ დაიძახა ვიღაც ახალგაზდა მეურმემ, თავ-განწირვით ისკუპა ურმის კოფოდამ და ბანგვანი მოადინა გაგიჟებულ ალაზანში. გულადმა მეურმემ გმირულად მოუსვა ხელ-ფეხი და გულ განრისხებულ ლომივით გამოედევნა თეთრ-კაბა ქალს, რომელსაც გაცოფებული ტალღა-ზვირთები ალაყ-მალაყით მიასრიალებდნენ თავდაღმა. ცოტად-ღა სჩანდა აგორებულ ზვირთებში, ის იყო წყალს უნდა ჩაეღუპნა — და წამოეწივა კიდეც გაფოთებული მეურმე და სტაცა კაბაში ხელი. მარცხენა იღლიაში ქალი ამოიდვა, მარჯვენა ხელის მოსმით ნაპირს გამოცურდა და დაიძახა: „უშველეთო“.

ხალხი ქალს მისცვივდა: მეურმემ თვალის დახამხამების უმალ გადიყარევინა ჩოხა-ახალუხი და გაცოფებულ ალაზანში ისარ-ნაკრავ ვეფხივით გადახტა ხელ-მეორედ თავ განწირვით — სივაჟკაცის ცეცხლით თვალებ-ანთებული, რომელიც მძლავრმა ტალღა-ზვირთებმა ჯერ წადმა-უკუღმა გაისრიალ-გამოისრიალეს, მაგრამ სწრაფად მოიკრიბა მეურმემ რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაბრაზდა და გასაზარელდა მისი სახე, ვით რისხვა ცისა, და თევზის სისწრაფით გამოედევნა გააფთრებულ ზვირთებისაგან მოტაცებულ პატარა ბიჭს. „ჰეჰეი! მე აქა ვარ!..“ ვაჟკაცურად დასჭყივლა შორიდამ გულ-გამედგრებულმა მეურმემ, ფეიქარის მაქოსავით გაგლუტუნდა აგორებულ ზვირთებიდამ ზვირთებში, წამოეწია, სტაცა ბიჭს ხელი და გამოაქანა ნაპირისაკენ. ამ დროს თავ-განწირულ სიგულადით აღსავსე მცურავ-მეურმეს ღაღადებული ხალხი ქუდების ქნევით უყვიროდა აქეთ-იქიდ ამ: „ჰაჯან! ჰაჯან! ბიჭო ქიზიყელო!..“ „შენი გამჩენის ჭირიმე, გულ-ძლიერო გაიოზ!..“ „ალალი იყოს შენზედ დედის ძუძუ!..“ შენ გენაცვალნენ ქვეყნის თვალ-ჟუჟუნა ქალები, ყველაში ლომ-გმირო!..“ ამასობაში მენავეებმაც ორი ადამიანი გადაარჩინეს ნავით.

— ეჰეე! ღერძ-ჩაუკრავი ურემი ვისა გაქვთ, ჩააკარით, კაცოოო!.. ყვიროდნენ მენავეები.

გამოვიდა და გამოვიდა მლოცავი ალაზნიდამ და აივსო შებმული ურმებით კაშკაშა მზის სხივებით გადაღანებული მწვანე ხასხასა მინდორი. იქვე ურმების მახლობლად, ალაზნის ნაპირას ზღვისოდენა მლოცავები შეჯგუფულიყვნენ ფუტკრის ჟულივით, ქალი და კაცი ერთმანეთში ირეოდა, ზღვასავითა ღელავდა აჭრელებულათ და იმათი გაცხარებული ზაყზაყი და ყაყანი ცასა სწვდებოდა გუგუნით.

— რა ამბავია, რა ხაბარია? — იკითხა შეთონთქოლებულ ხალხის განაპირად ახლად მოსულმა დიაკვანმა დიონემ.

— მშვიდობა, მშვიდობა, ყველანი მოასულიერეს, მიუგო მალხაზომ.

— ჰეე, პა-პა-პა! ძალიან ხიფათიანი ფონი არ ალი ე ვერანა! შარშაჰ წინათ იგრე დაახრჩო მთელი ურემი

*) კახელ-ქიზიყელი მინდვრის კაცი ასო ხ ბადლად ჰ-ს ხმარობს მრავალ სიტყვებში, და რადგანაც დღეს ეს უხმარი ასო აწინდელ მკითხველის ენა-თვალს ეხამუხება, ამისათვის არ ვიხმარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაძრის სასარგებლოდ იხდიდნენ. შემდეგში ეს მამულები ფეტუსიშვილებს დაუსაკუთრებიათ და სწორედ ამიტომ განგებ, გლეხების თქმით, სარკმელზე დატანებულს ქვაზე წარწერა წაუშლიათ, რადგან წარწერაში მოხსენებული იყო, რომ ერწოს მამულები საეკკლესიო იყოო.

ამ ჟამად ეს ეკკლესია და მის ირგვლივი მამულები ეკუთვნის ვიღაც სომეხ ფანფალოვს. მას ეს მამული ვიღაც ტუსიშვილის ქვრივის ვალში დარჩენია.

ეკკლესია ძლიერ დაძაბუნებულია და თუ დროზედ არ შეკეთდა, მთლად დაინგრევა.

ნამდვილად ვიცით, რომ ამ ეკკლესიის განახლება და შეკეთება იტვირთა ზედაზენის მონასტრის მწირმა ს. ბალების ხევის მცხოვრებმა ხევსურმა ეფრემ დიდებაშვილმა. იმედია ამ პატივცემულს პირს ადგილობრივი სამღვდელოება და ადმინისტრაცია ჯეროვანს შემწეობა-დახმარებას აღმოუჩენს და შეძლებას მისცემს, რომ განახლდეს ეს ქართველთა წმიდა ეკკლესია მე-VII საუკუნის ნაშთი და საქართველოს ეკკლესიისაგან წმიდათა შორის შერიცხული მეფე არჩილ მე-II-ის სასაფლაო.

ი. კახელი.

## ღია წერილი ბ ნ ზ. ე. წერეთელს.

„მრავალი საპასუხო წერილები მოუდის „კვალის“ რედაქციას დიმიტრი ერისთვის გამო და ეს ამტკიცებს სამართლიანს გულის წყრომას ჩვენის საზოგადოებისას(?) იმ უმართებულო წერილზედ, რომელიც დიმიტრი ერისთავმა „ივერიის“ № 113 დასტამბა. ჩვენ ყველას ვერ ვსტამბავთ ადგილის უქონლობისა გამო; მხოლოდ არ შეგვიძლია ორი მათგანი მაინც არ დავსტამბოთ. ინტელიგენტ-ბელეტრისტის ჭკუის სასწავლებლად ეს ორი პასუხიც საკმაო იქნება“.—აი რა შენიშვნა წაუმძღვარა თავისს მხრით „კვალის“ რედაქციამ იას. მეგრელიძის და რაფიელ მგელაძის ჩემდამი მომართულს სწორედ ავლაბრის ლანძღვა-გინებას. მაშასადამე, მე სრული სიმართლე მქონდა მეთქვა, რედაქცია ტაშს უკრავს და თანაუგრძნობს ზემოხსენებულს ზრდილობიანს ხალხს-მეთქი; და რადგანაც ჩემთვის და მრავალთათვისაც ცხადი იყო და ეხლაც ცხადია, რომ თქვენა ბრძანდებით „კვალის“ სულის ჩამდგმელი, იმის განსაკუთრებულის სახის და მიმართულების მიმცემი მეთაური, ამიტომაც მოგმართეთ პირადად თქვენ წინადადებით სამედიატორო სამართალმა გაგვასწოროს-მეთქი.

თქვენ ერთობ გაუცვიფრებიხართ ამ წინადადებას და პირჯვრის წერით იძახით: ,,საიდგან სადაო, წმიდა საბაო“, რა შუაში ვარ, მე არც ,,მესამე დასის“ მეთაური ვარ, არც გაზეთის გამგებელიო, და მითითებთ „კანონიერ“ რედაქტორზედ და თანამშრომლებზედ,—აი ამათთან უნდა დაგეჭირათ საქმეო. ცოტა ქვემოდ კი იმასაც ამბობთ, სამედიატორო სამართალში გამოყოლის წინააღმდეგი არა ვარო, და თანაც მაფრთხილებთ, საქმე არ წაგიხდეთო. დიდად გმადლობთ გულკეთილობისათვის! მაგისი არ მეშინია. მხოლოდ სასურველია ვიცოდე ვადაჭრილი თქვენი თანხმობა თუ უარი. თუ დათანხმდებით, მე ,,სალდათის“ როლის წინააღმდეგ, რომელსაც თქვენ ასეთის თავდაბლობით ითვისებთ, გარდა მადლობისა არა მეთქმისრა, რადგანაც არც მე გახლავარ „ჯინჯილეჰიანი“, და თუ მაინცა-დამაინც ფორმალურის მხრით შეხედავთ ჩემს წინადადებას და დაიჟინებთ, უთუოდ „გენერალმა“ უნდა გიგოს პასუხიო, დეე, ასე იყოს, ჩვენ არც “გენერლებს“ შევუშინდებით. მხოლოდ კეთილ-ინებეთ და გაგვაგებინეთ, ვისთან მექნება საქმე, თქვენთან, რომელსაც ჩემს და მრავალთა სხვათა შეხედულებით „კვალის „გენერლობა“ უფრო შეგშვენით ვიდრე „სალდათის“ როლი, თუ „კანონიერ“ რედაქტორთან?

დიმ. ერისთავი.

P.S. რადგანაც „კვალი“ კვირაში მხოლოდ ერთხელ გამოდის, ამის მიზეზით გვიანდება პასუხი და საქმე ჭიანურდება; დიდად დაგვავალებთ თუ თქვენს გარდაწყვეტილებას უახლოესს „ივერიის“ №-ში დასტამბავთ, რომლის რედაქცია, იმედია, უარს არ გვეტყვით.

## რუსეთის ცხოვრება.

ლაზარევის უნივერსიტეტის სპეციალურ კლასების პროფესორთ, როგორც მოსკოვის გაზეთები იუწყებიან, ისეთივე უფლებები მიჰნიჭებიათ პენსიებისა, ფულით დროებით დახმარებისა და დამატებით სამსახურის ვადის შესახებ, როგორიც რუსეთის უნივერსიტეტების პროფესორთა აქვთ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

ინგლისის პარლამენტის შესახებ, რომელშიაც ამ ბოლო არჩევანების დროს უმეტესი ნაწილი კონსერვატორები მოჰხვდნენ, აი რას ამბობს ,,მოსკოვ. ვედ“-ი:

„თუმცა ლიბერალებიცა და კონსერვატორებიც ერთნაირად უკმაყოფილონი არიან რუსეთისა, მაგრამ კონსერვატორთა უკმაყოფილება უფრო მტრობას ემზგავსება; ამიტომ ჩვენ მთელი ექვსი წლიწადი უნდა ანგარიში გვქონდეს მათთან, რადგანაც დიდი უმეტესობა კონსერვატორების მხარეზეა. მთავრობის მეთაურად ლორდი სოლსბერია, უფრო მეტად ცნობილი რუსეთისადმი მტრობით, ვიდრე ლორდი ბეკონსფილდ-ძირაელი; სოლსბერის ამხანაგად ჰყავს ცნობილი შოვინისტი კერზონი. აქედგან ცხადად სჩანს, რომ ინგლისი სრულიადაც არ აპირებს რუსეთთან შერიგებას. დღევანდელი საქმეთა გარემოება ნამდვილად ამტკიცებს, რომ რუსეთის წინააღმდეგ უთუოდ გააორებს ინგლისი თავისს ინტრიგებს შორეულს აღმოსავლეთში, სადაც ამ ჟამად იაპონია რაც შეიძლება აჩქარებს კარგად შეიარაღდეს,—აგრეთვე ბალკანეთის კუნძულებზედ და ყველგან, სადაც-კი შეიძლებენ ინტრიგები შეიტანონო.“

—

ამ ბოლო დროს გავრცელებულის ხმის გამო, რომ ვითომ საერო განათლების სამინისტრო აპირებდეს დაავალოს სხვა-და-სხვა სამოსწავლო ოლქების მოსწავლეთ მხოლოდ თავისს ოლქის უნივერსიტეტში შევიდნენ სწავლის განსაგრძობადაო, სრულიად სამართლიანად შეჰნიშნავს ,,ვრაჩი“:

„იმედი ვიქონიოთ, რომ ეს განზრახვა არ განხორციელდება. თუ რომ ზოგიერთი უნივერსიტეტები სავსენი არიან სტუდენტებითა, ხოლო დანარჩენნი არა!—ამ სამწუხარო ამბის მიზეზი სხვაგან უნდა ვეძებოთ; საჭიროა უფრო უკეთ მოეწყვნენ ის უნივერსიტეტები, რომელნიც დღეს დღეობით უდაბნოებს დაჰმზგავსებიან. ამ მხრივ (თუმცა, რასაკვირველია, ყველა არა) ბევრი რამ შეუძლიან სამინისტროს. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ძალით მიუჩემონ ერთს უნივერსიტეტზედ მოზარდს თაობას რომელიმე ადგილისას,—ეს სარგებლობას-კი არა, პირ-იქით დიდს ზიანს მოუტანს ბევრის მოწაფეების ინტერესებსაო“.

## უცხოეთი

—

**ბულგარია.** ის კაცი, რომელიც ამ ბოლო დროს შეიპყრეს სოფიის მახლობლად და რომელიც ამბობდა რომ ვიღინიდგანა ვარ, გვარად ივანოვიო, სტამბულოვის მსახურს უჩვენეს და ამ უკანასკნელმა იგი მკვლელად იცნო,—სწორედ იმ კაცად, რომელსაც რევოლვერით გამოეკიდა და დასჭრა კიდეც. ეს ახლად დაპატიმრებული ათანასე სტავროვია, სახელდობრ ის ათანასე, რომელსაც მთავრობა და პოლიცია დაეძებდა. სოფიიდგან იუწყებიან, რომ პრინცის ფერდინანდის ბაღთან იპოვნეს დანა; დანა ძალიან თურმე ჰგავს იმ ქარქაშს, რომელიც სტამბულოვის მკვლელობის ადგილას ნახეს.

—

**ბრაზილია.** აქ დიდად აღელვებულები არიან იმის გამო, რომ ინგლისმა მიისაკუთრა პატარა უდაბური კუნძული ტრინიდადი, რომელიც ატალანტიდის ოკეანეზედ არის სამხრეთით, 20 გრადუსის ქვეშ (ამავე სახელით სხვა უფრო დიდი კუნძულიც არის ცნობილი). ეს ამბავი იანვარშივე შეიტყეს, მაგრამ მაშინ როგორღაც ყურადღება არავინ მიაქცია. საზოგადოდ წინად ამ კუნძულს არავინ არ აქცევდა ყურადღებას და გეოგრაფიულ ქარტებზედაც-კი ხან ინგლისის საკუთრებად ჰხატავდნენ, ხან ბრაზილიისა. ბრაზილიაში ამ ჟამად ყველა დიდის მტრობით იხსენიებს ინგლისს და მანიფესტაციებს ახდენენ, პარლამენტში და ჟურნალ-გაზეთობას ძალით თუ უფლებით ჰსურთ ეს კუნძული თითონ დაინარჩუნონ. მთავრობამ კიდეც განუცხადა თვისი პროტესტი ინგლისელს ელჩს. აქ უნდა უთუოდ შევნიშნოთ, რომ ყველა ეს უსიამოვნება უფრო შემდეგ გარემოების მიზეზია. აქ ვიღაც ბარონმა ჰარდენ-გიკსმა პატარა ახალშენი დააარსა და განზრახვა აქვს სთხოვოს სხვა სახელმწიფოთ, რომ კუნძულზედ დამოუკიდებელი სამთავრო იქმნეს დაარსებული.

## უცხოეთის წვრილი ამბავი.

—

ერთს ინგლისურს ჟურნალში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი შესახებ იქაურის თეატრისა. ავტორი ამ წერილისა ახასიათებს აგრეთვე გამოჩენილ არტისტთ მაგრედსა და კინს.

უმეტესი ნაწილი თანამედროვეთა კინს გენიოსად სთვლიდა და მაგრედს ნიჭიერად. მაგრამ ნიჭმა უფრო მეტი სამსახური გაუწია მაგრედის, ვიდრე კინს გენიოსობამ. „კინის ნახვა“, ამბობს

---

ხალხი, ერთი გოგოჰ ჭყლინტი ძლივლა გადაანარჩუნეჰ რიჰ ვაი-ვაგლახით. გატიალდეჰ და გოოხრდეჰ იმი ფონობა, დედა-ჩემიც ამაჰ მოუდვნია ჩემ პატარაობაში, და მე და გოჭკუდაჰ ბიჭი შარმაზანი ცოცხალ-მკვდრები დაუჭერივართ მენავეებ. ქრიჰტეც ვერ მაჰოვლის რამოენი მილეთის ხალხი ჩალეპულა ა ჩასაძვრენ ალაგაჰ, და, არ იქნა, ერთი ხიდი ვერ გაადებინა ი სახლ კარ ამოსაწყვეტმა ნაჩალიკმა. ზოგს მუდამ წელიწად ედავება თავგავაზის წმიდა გიორგი, ვეთაყვანე იმას ი საბრძანებელში, და აბა რა უნდა ქნაჰ, თქვენი ჭირიმე, ადამიანმა ყოველთვინ ეგეთ აზლვეებულ ცოდვიან წყალში-ჰა?! მოიჩივლა ვიღაც ფარაჯა-დაგლეჯილმა ბერიკაცმა და მაშინვე გაბრუნდა ბრაცა-ბრუცით, ფეხებში ეტყობოდა რო ცოტა გადაკრული იყო.

— ჰაი-გიდი, გოგიტელავ! შენ-კი არ იცი ლუკმები—თუ წააწყდი სადმე! ეშმაკი-სისხლი *) ჩაგიყლუპწამ და ჰლაპარაკობ! ხიდი-კი არა, თუ ღმერთი და ბედი არა გწყალობს, ყველა ტყუილი ყოფილა: ვაკეზედაც ურემი გადაგიბრუნდება და აღმართშიაც ქვა მეგეწევა,—მიაძახა ვიღაცამ.

— ჩვენ ბოლოს გამოველით, როგო ყოფილა?—იკითხა დიაკვანმა, რომელიც ბერიკაცის ლაპარაკს უგდებდა ყურს.

—ვიღაც უკანამხრელი ღვდლის ღერძ-ჩაუკრავი ურემი წყალს მოუპირქვავებია, ღვდელი, ღვდლის სიდედრი და მეურმე ზეწარ-ჭალებს მოჰბღაუჯებიან, ღვდლის ცოლი და სამი შვილი-კი წყალს წაუღია, მაგრამ დედა-შვილი მენავეებმა დაიჭირეს ნავით და და-ძმაც ქიზიყელმა მეურმემ. და აი მეურმე კიდე იცი, ვინ არი? დილის მზე-ქალას რო ვიღაც გაიოზი მოსწონებოდა, ის ბიჭია. მართლაც-და, ერთი იმისი დანახვა ერთ სოფლადა ღირს; იმი ყურებით ხო ადამიანი ვერ გაძღება და იმის მნახველს სხვა აღარავინ მეეწონება. ბევრი ლაპარაკი რა საჭიროა, ი რო თავი სწორ-ამხანაგებში ჩააყენო, იმი ტოლ-ამხანაგებსაც სწორედ იგეთივე საქმე დაემართებათ, რაც მასკვლავებს ემართებათ დილით, როცა მზე ჩადგება ხოლმე იმათში. კალმით ნახატ სახეთვალებზედ აშკარად ეტყობა, კაი ჭკვიანი, გონება-ფხიანი და საქმიანიც უნდა იყოს. ნეტა დაგენახა ძალ-გულოვან ლომივით რო დაცურავდა აი საზარელ მორევ-ზვირთებში ი ღვთისგან კურთხეულიშვილი. საამოა, მე და ჩემმა ღმერთმა, იმნაირი სივაჟკაცის მოხილება, ადამიანს გუნებას უტკბობს და გულს უკეთილებს. აგე, ისიც მოდის. ჩვენები რაღა იქნენ, მზე-ქალო?

— იქვე არიან, მიუგო მალხაზოს მზე-ქალამ და სახის მანჭვით დაუმატა: ი ღმერთმა რა უყოს ი წვერცამეტას! აბა რისთვინ აგვათონთქოლა და დაგვაქჯიანა ეს ამოდენა ენგი-დუნია ხალხი. ღვდელია, ჭკვა მაგას უნდა ჰქონდეს, რატო არ იფიქრა მა დავსილმა: აზლვავებულ წყალში ღერძ-ჩაუკრავი ურემი არ გამოდგებაო.

— ალბად ღმერთმა ცოდვისა მოჰკითხა და აღარ აფიქრებინა: ე ღვთის მცნების მქადაგებელი და ცოდნასიმართლის მასწავლებელი მოძღვარი რაღათ აჰყოლია სარსარაკა მკითხავებს და რათ უჩვენებს ქვეყანას ეგეთ ცუდ მაგალითსაო,—აუხსნა დიაკვანმა.

— დიახ, დიახ!.. ზოგი იმასაცა ჰკითხე: „ჩემმა მადლმა გადაანარჩუნა ჩემი ცოლ-შვილიო“, იძახის თავმომწონედ.

— მა რა გიჟია ისა თქვას: ცოდვისაგან დამემართაო. ეტყოდი: მამაო, ჩვენ უფრო მადლიანები ვყოფილვართ, თითიც არავის დაგვსველებია თქო.

— ი ნეტავი-კი მართლა მამგონებოდა და მეთქვა მაგრე,—დაჰნანდა მზე-ქალას.

— მაგრამ, ღმერთო შაგცოდე, ვინ იცის, იქნება, ჩემი არ იყოს, მა ღვდელსაც ერთი იგეთი სამგლე დე დაკაცი ჰყავ, რო ის დაათრევდეს ძალი-ძალად მკითხავების სიტყვით გაბრიყვებული, ექვით წარმოსთქვა დიაკვანმა და დაუმატა: აბა, ერთი ი გაიოზი დამანახვეთ, რომელია?

— ამოდენა ზღვა ხალხში რა გამოჩნდება, მიუგო მალხაზომ და განაგრძო ყელში ჩაცინებით: ვაი, დაჰწყევლა ჩვენი ხალხი, უყურეთ, ეხლაც-კი მაწონივით შადედებულებს როგო ზედაგორა აქვთ, იტყვი კაცი ი ღვდლის ურემთან ჟღრიალა ზარჟღვნებიან დათვებსა და მაიმუნებს ათამაშებენო, იგრე ძალზედ მიიწევენ. ცოტას გასწყდა რწყილივით არ გამსრისეს წელან.

— ეხლა საცაა გამოჩნდება გაიოზი, სწორ-ამხანაგებმა ციმციმ აჰწივეს და საითღაც გააქანეს გაუმარჯოს ძახილით სველი ტანისამოსის დასაწურად, აუწყათ მზე-ქალამ.

— ვინ არი, რა კაცია, დიდია, პატარაა, უცოლოა, ცოლიანია? ცერცვივით დააყარა დიაკვანმა.

—დილას რო ჭალაში მაცვალებულს დაჰტიროდნენ, იმათ კაი გაძრიალებული ოჯახი ჰქონიათ და გაიოზი იმათთან მოჯამაგირეთა მდგარა. ეგრე ოც-და ხუთი წლისა იქნება შახედულობით. უცოლო ყოფილა, უამბო მზე-ქალამ.

— ჰოოო, გააგრძელა დიაკვანმა: მაშ იმ კაცსაც, როგორც შენ ამბობდი დილას, ანგელოზივით ქალი ჰყოლია გასათხოვარი, და ეგ ჯომარდი ვაჟკაცი, რიხიანი გაიოზი და ის დახატული შახიანი გოგონა საცოლ-ქმრო ამფეები ყოფილან რაღა.

— უჰ! ვაჟკაცი და რა ვაჟკაცი—ციდამ მოწყვეტილი მთვარეა, და ქალი და რა ქალი—ამომავალი მზეა: სახე ედემის ვარდივით უყვავის, დიდრონი შავი-ჟუჟუნა თვალები სამოთხის ცეცხლით უგიზგიზებს და ევლოგიის წმინდა სანთლებივით უკრიკჟრიკებს. მაგრამ, ეჰ, ღარიბ მოჯამაგირეს იმ ბედ-იღბლისას ვინ გაჰხდის, ათასი ვაჟკაციც იყოს,—ისეთი გულ-დაწყვეტილის ამოოხვრით დააბოლოვა მზე-ქალამ, თითქოს გული თან ამოაყოლაო.

— მ გას ნუ იტყვი, სიყვარული ღარიბ მოჯამაგირეს არ დაგიდევს. შენ არ იცი, რო სიყვარულ მორეულ-გულს მთელი ქვეყანაც ვერ ჩაანელებს?

— დედ-მამა მაგას არ დაგიდევს: თავიაანთ ქალს, საითაც უნდათ—იქით გადააგდებენ დამპალ-კიტრივით.

(შემდეგი იქნება).

*) არაყი.

კოლრიჯი, უდრის ელვარებით მორთულ შექსპირის ნახვას. ამ ელვარების ეფექტი, რასაკვირველია, დიდია, მაგრამ ესევე ელვარება უშლის წვრილმანის დანახვას. ოტელოს როლში, როდესაც იგი წინაშე სენატორებისა ლაპარაკობს, კინი ხშირად წააგავდა მოწამეს, რომელიც შეუგნებლად გაზეპირებულს გაკვეთილს ამბობს, მაგრამ მონოლოგის ბოლოში, როდესაც დეზდემონა შემოდის, კინი უცებ შეიცვლებოდა ხოლმე და აღტაცებაში მოჰყავნდა მაყურებელნი. არჩერის აზრით, კინი საუცხოვო იყო, როგორც აქტიორი, და მაკრედი-კი როგორც არტისტი.

ეს უკანასკნელი კარგად თამაშობდა უფრო იმ როლებს, სადაც იხატებოდა კეთილობა, სათნოება და მაღალი გრძნობანი. კინი—საუცხოვო გამომხატველი იყო იმ პოეზიისა, რომელიც შექსპირის სულსა და გულს შეადგენდა, ხოლო მაკრედი სჯობდა მას მოხუცებულებთან ან არიდილებთან სალაპარაკო როლებში. თუმცა ამ მხრივ კინი ჩამოურჩებოდა მაკრედს, მაგრამ რაც შეეხება სხვა გვარს შიშსა და ძრწოლის გამოხატვას, შეუდარებელი იყო. უილსონი, ჯერ ისევ ახალგაზრდა აქტიორი იყო, როდესაც მას ერთად კინთან შექსპირის ჰამლეტში მოუხდა თამაშობა. რეპეტიციაზე ჩამოვარდა ლაპარაკი პიესის იმ ადგილის შესახებ, სადაც გამძვინვარებული, და უგმაყოფილო შექსპირის შეკვარდება სცენაზე და თხოულობს თავის მსხვერპლს.

— განსხვავართ თქვენ ოდესმე ამ როლში? ჰკითხა კინმა უილსონს.

— არა. მიუგო უილსონმა.

— მაშ საჭიროა ეხლავე გიჩვენოთ, თორემ მერე სცენაზე შეჰშინდებით უთხრა კინმა. მიუხედავად იმისა, რომ კინმა წარმოდგენის წინათვე იულსონის თვალწინ ითამაშა ეს როლი, იულსონი მაინც წარმოდგენაზე ისე შეშინდა, ისე დაიბნა, რომ სცენიდამ გაიქცა.

იქნება ზოგიერთმა იფიქროს, რომ კინი მთლად ემლეოდა ზეშთაგონებასაო, ეს ტყუილია. იმ წუთს, როდესაც კინი, როგორც გიჟი, დარბოდა სცენაზე, იგი უოკელს თავის ნაბიჯს ჰსაზრავდა. რაც შეეხება მაკრედს ამავე პიესაში „შეკლოხის“ როლში, ის, ვიდრე სცენაზედ გამოვიდოდა, არყევდა მძიმე კიბეს, უვიროდა, ვიდრე სული არ შეუგუბდებოდა ხოლმე და ასე გაფითრებულის სახით გამოდიოდა მაყურებლების თვალწინ. მაყურებელნი შიშითა თრთოდნენ მის დანახვაზე; მათ სიცილი აუტყდებოდათ, რომ ენახათ მაკრედი, როგორ გარჯიშობდა კიბით რომ ამისთანა გამომეტყველება ჰქონოდა, როგორიც როლისთვის საჭირო იყო. მაგრამ ისინი ამას ვერა ჰხედავდნენ და არც საჭირო იყო ენახათ.

## სამეცნიერო ნაწილი.

პროფესორმა ეილენბურგმა წარუდგინა ბერლინის შინაგან ავადმყოფობათა სამკურნალო საზოგადოებას თავისი ანგარიში ბერინგის მიერ გამოგონილ შრატით ყელჭირვების ექიმობის შესახებ. 1894 წლის 1 ოქტომბრიდგან 1895 წ. 1 აპრილამდე ექიმს ეილენბურგს გაუსინჯავს სულ 10,240 ყელჭირვებით ავადმყოფი. ამათში 5,790-ს სწამლობდა შრატით და მათში მომკვდარა 552, ე. ი. $9^1/_2\%$. დანარჩენ 450-ში, რომელთაც არჩენდა უწინდელ საშუალებებით, მომკვდარა 655, თითქმის 15%. როგორც ამ ანგარიშიდგან სჩანს, ყელჭირვება ბოლო წლებში ისე საშიში არ ყოფილა, როგორც წინა წლებში; ესევე სტატისტიკური ცნობები ამტკიცებს, რომ უფრო ნაყოფიერი შედეგი შრატით წამლობასა ჰქონია: იმ ავადმყოფთაგან, რომელთაც 1 ლ და 2 დღეს აუცრეს, მოკვდა მარტო $4^1/_2\%$, ხოლო იმათში, ვისაც აცრა რამდენიმე დღეს დაუგვიანეს, 17%. უფრო საინტერესოა, თუ რა შედეგი ჰქონია ერთსა და იმავე გარემოებაში, ერთსა და იმავე საშუალებით ნაექიმარ ყმაწვილებსა და დიდებზედ. მაშინ, როდესაც ბერინგის საშუალებით ნაექიმარნი არა უფროს ორის წლისანი იხოცებოდნენ მხოლოდ 22%, ახალის საშუალებით ნაექიმართა რიცხვი აღიოდა 40%-მდე. აგრეთვე ნაკლებად იხოცებოდნენ ამავე ახალის საშუალებით ნაექიმარნი ყმაწვილები ორისა და მეტის წლისანი, ვიდრე 10 წლამდე. სულ წინაალმდეგი აღმოჩნდა დიდების წამლობის დროს. ვისაც ამ უკანასკნელთაგან ახალის ბერინგის მეთოდით უწამლეს, ამათში მოკვდა 4,1%, ხოლო იმგვარადვე ავადმყოფთაგან, რომელთაც არ აუცრეს და რომელნიც უფრო მოზრდილნი იყვნენ, დაიხოცა 3,8%.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

22 ივლისი.

**სტამბოლი**, 21 ივლისი. ალეპოში ხოლერა გაჩნდა.

23 ივლისი.

**სტამბოლი**, 22 ივლისი. ოსმალეთის მთავრობამ წარუგზავნა რუსეთისა, საფრანგეთისა და ინგლისის წარმომადგენელთ დამატებითი ცნობანი უკანასკნელის ოსმალეთის ნოტისა სომხეთა საქმის შესახებ. როგორც ფიქრობენ, ოსმალეთი თანხმობას თურმე აცხადებს, რომ ცვლილებანი მოახდინოს სომხეთში.

**ბერლინი**. სოფიიდგან კერძო დეპეშით იუწყებიან, რომ სტამბულოვის მეგობარი, ლიბერალთა დასის წინამძღოლი მატაკიევი, სასიკვდილოდ იქმნა დაჭრილი ვილაც ბოროტ მომქმედთაგან თათარბაზარჯიკში.

**რომი**. ცამეტი მონაწილე ერთის საიდუმლო ბოროტის განზრახვისა ნაფიც-მსაჯულთა სამართალს გადაეცა; თერთმეტს ამათგანს კრისპის მოკვლის განზრახვა ჰბრალდებათ.

**შანჰაი**. ფუჩეუ-კუ-შენგიდგან იუწყებიან დეპეშით, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ ქრისტიანები დახოცეს. მოკლულთა შორის ხუთი უცხოელი ქალიც არისო.

24 ივლისი.

**პარიზი**, 24 ივლისი. ნახშირის მადნების საზოგადოების დირექტორი მძიმედ დასჭრა რევოლვერით ანარხისტმა რუეში. ბოროტ-მომქმედს ჰსურდა ხალხში ესროლა ასაფეთქებელი ყუმბარა, მაგრამ ყუმბარა უცბად გასქდა და იქვე მოჰკლა თითონ ანარხისტი და დასჭრა რამდენიმე კაცი.

**სოფია**, 23 ივლისი. პეტერბურგს წარგზავნილი დეპუტაცია უკვე დაბრუნდა.

ცანკოვის მომხრეთა ჟურნალ-გაზეთები, იუწყებიან რა, რომ კობურგის პრინცი ტახტს თავს ანებებსო, ურჩევენ ეხლავე ეძიონ შესაფერი კანდიდატი; ასეთ კანდიდატად ხსენებულნი გაზეთები საბერძნეთის ტახტის მემკვიდრეს გიორგის ასახელებენ. ამბობენ, ვითომ ფარულად აგიტაცია არსებობდეს, რომ ბულგარია სერბიასა და რუმინიას დაუკავშირდეს.

**თეირანი**, 24 ივლისი. პურის სიძვირისა და ნაკლებულობის გამო თავრიზში არეულობა მოხდა. როგორც ამბობენ, წესიერების აღდგენის დროს 20-დის კაცი მოუკლავთ ჯარის-კაცთ. რუსეთის პირველმა კონსულმა შუამდგომლობა წარუდგინა გუბერნატორს, რომ პურზედ ფასი დაკლებულ იქმნას.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სტროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

დაიბეჭდა და ისყიდება
წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში

ცხოვრება
მეფე გიორგისა

აღწერილი
პლატონ იოსელიანის მიერ.
გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა.
ფასი ერთი მანეთი.

პ. ს. დოროჟნოვი (იაროსლავიდგან).
სასახლის ქ. ახალი სახლი სარაჯევისა, ეზოში.
ჩემ მიერ ახლად გახსნილს მაღაზიაში ვურჩევ ისარგებლონ და იყიდონ

იაფ ფასად

ბაქოს იარმუკობაზედ დარჩენილი საქონელი: ნამდვილი იაროსლავური ტილო, ხელით ნამუშავარი, პერანგებისა, პერანგის ამხანაგებისა, ზეწრებისათვის და სხ. ყველა ფასებისა; ისყიდება აგრეთვე სტოლის საფარებელი ხელსახოცები, ნაქსოვი საბნები, ხავერდის ნოხები, სუფრები და ტილოსი და ბამბეულობის საქონელი.

ეს ვაჭრობა სულ მცირე ხანს იქნება და ზემოდ აღნიშნული საქონელი დანიშნულ ფასზედ ნაკლებად არ გაისყიდება. (1—1644—1).

იბეჭდება და მალე გამოვა

კ. ს. მესხის
დრამატიული ნაწარმოები

სამ წიგნად.

წიგნი პირველი:
1) **თამარ ბატონიშვილი**, ხუთ-მოქმედებიანი დრამა.
2) **ბაგრატ მე IV, იმერეთის მეფე**, დრამა 4 მოქმედებად.
3) **ქარაფშუტა**, სამ-მოქმედებიანი კომედია.

მეორე წიგნი:
1) **რუსთაველი**, ოთხ-მოქმედებიანი პიესა.
2) **სამშობლოს სადიდებლად**, ტრაგედია ხუთ-მოქმედებად.
3) **შეშლილია**, ორ-მოქმედებიანი პიესა, თარგმანი.

მესამე წიგნი:
1) **ირაკლი მეორე**, ხუთ-მოქმედებიანი დრამა.
2) **ჭირვეული ცოლის მორჯულება**, კომედია შექსპირისა, მოხერხებული ქართულ სცენისათვის.
3) Madame Sans-Gêne, (მოურიდებელი ქალბატონი) თარგმანი.

ვინც **დაბეჭდვამდის**, ახლავე, გამოიწერს, სამივე წიგნი დაუჯდება 2 მ. ნ. დაბეჭდვის შემდეგ 3 მან. ვინც 20 **ეგზემპლიარს** ან **მეტს** გამოიწერს, თითო ეგზემპლიარი (სამი წიგნი) დაუჯდება 1 მ. 50 კ. გამოსაწერად მიჰმართონ „ივერიის“ რედაქციაში, კ. ს. მესხს.

# კელერის z დუხები

ისყიდება **ყველგან** და **ყველა** დიდ ვაჭრებთან.

როგორც ასო Z-ი ითვლება უკანასკნელ ასოთ მთელს ანბანში, ისე ეს დუხები უნდა ჩაითვალოს პარფიუმერიის უკანასკნელ საუკეთესო ნაწარმოებად.

კელერის Z—დუხები, მიუხედავად იმისა რომ მეტად ნაზია, ძალიან კარგად არის შეზავებული, რის გამოც ნელ-ნელა ავრცელებს თავისს სასიამოვნო სუნნელოვნებას და შემდეგ რამდენიმე დღე და ღამე აღარა სცილდება საგანს სუნნელოვნება.

(2—29—1).

საუკეთესო კოლდ-კრემი და ცხვირის პომადა
# კელერისა

ყველაზედ უმჯობესნი არიან თვისის ღირსებით. ისყიდებიან **ყველგან და ყველა** დიდ და ცნობილ ვაჭრებთან.

(2—30—1).




Общество Страхованія Жизни.
Невскій пр., № 13.

დაზღვეულნი პირნი დაზღვევის პირველის წლიდგანვე მიიღებენ საზოგადოების მოგების 50%, რომელიც წლის ანგარიშში იქნება ნაჩვენები.

ამასთანვე იმათ მიენიჭებათ დიდი უპირატესობანი, თუ ვინიცობაა დაუძლურდნენ და მუშაობა ველარ შესძლეს.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა. № 6.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(40—13)